სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

1 მაისი 2024

გადაწყვეტილება # P24000030/0-1 (01/05/2024 12:18:13)

რეგისტრაციის შესახებ

პოლიტიკური გაერთიანების „ხალხის პარტიის“ ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა პირობითი განცხადება P24000030 (რეგისტრაციის თარიღი: 01.05.2024 წ.) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

სახელწოდება: პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205221295

დადგენილი ფაქტობრივი გარემოება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის P20000006/0-1 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანების „ხალხის პარტიის“ წესდების 6.1. მუხლის შესაბამისად, პარტიის აღმასრულებელ მდივანს ამოეწურა ოთხწლიანი უფლებამოსილების ვადა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე, 23–ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებით პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“. კერძოდ, წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო გაუქმდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში პარტიის აღმასრულებელი მდივნის შესახებ არსებული მონაცემი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.